

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებები 2017 წელი

N	საპროექტო წინადადების დასახელება	პროექტის სავარაუდო ღირებულება	მ.შ. მიმდინარე წლის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა ლარში	მ.შ თანადაფინანსება	საპროექტო დოკუმენტაციის და თანხასაექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის მოთხოვნილი	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	ბინების შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია	770 695,65	732 160,87	38 534,78	-	იანვარი-დეკემბერი	31 მრავალბინიან ს/ სახლში აუცილებელია დატბორილ სარდაფებში არსებული სისტემების გაუქმება და გარეთ გამოტანა. მოსაწესრიგებელია საკანალიზაციო ჭები და სახურავები. პროექტის პირველი ფაზა მიმდინარეობს 2016 წელს რეგ-ფონდიდან (ცენტრი მალთაყვა) 588 690.00 ლარის ფარგლებში
2	მალთაყვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა (მათ შორის მისასვლელი გზა)	13 508 076,00	3 610 000,00	190 000,00	-	იანვარი-დეკემბერი	აღნიშნულ ზონასთან კომპლექსში უნდა განვიხილოთ სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით, კერძოდ: პლაჟამდე მისასვლელი და პლაჟის გასწვრივ სავტომობილო გზებით და მანქანების ავტოსადგომებით, საინჟინრო კომუნიკაციებით (წყალსადენი, გაზი, კანალიზაცია, ელ. ენერგია და სხვა). რეგ-დან ფინანსდებ 4180.0 ათ. ლარის ფარგლებში, საიდანაც 2015 წელს გამოყოფილი თანხაა 1500.0 ათ. ლარი, ხოლო 2016 წლის გარდამავალი პროექტის ფარგლებში 2680.0 ათ. ლარი.

3	მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობა	1 176 598,10	522 500,00	27 500,00	-	იანვარი- ნოემბერი	ეზოებში დასაგებია მოასფალტებული სამანქანო გზები, მოსაწყობია ღია ავტოსადგომები, საბავშვო ატრაქციონები და სათამაშო ადგილები, მოსახლეობისათვის თავშეყრის ადგილებში- საჩრდილობელი და რაც ყველაზე მეტად აქტუალურია ეზოებში მოსაწყესრიგებელია სანიაღვრე კანალიზაცია. რგფ-დან 2015 წელს გამოყოფილი თანხაა 1048573.00 ლარი, ხოლო 2016 წლის 568 235.00 ლარი, საპროექტო სამუშაოები განხორციელებულია.
4	მრავალბინიანი ს/სახლების სახურავების რეაბილიტაცია	513 863,00	488 169,85	25 693,15	15 415,89	მარტი- ნოემბერი	რგფ-დან 2015 წელს დაფინანსებულია 540943.00 ლარის სამუშაო, ხოლო 2017 წლის ახალი სამუშაოების მოცულობა შეადგენს 513 863,00 ლარს. 17 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი ძირითადად ე. წ. რბილი გადახურვები, პროექტირება განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ.
5	სანიაღვრე სისტემებისა და სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია (სანიაღვრე არხების მოწყობა - რეაბილიტაცია)	3 474 929,90	665 000,00	35 000,00	-	იანვარი- ნოემბერი	3 სატუმბო სადგურის აშენება. დამატებითი გამტარი სანიაღვრე არხების, ასევე მაგისტრალური სანიაღვრე არხების მშენებლობა. რგფ-დან 2015 წელს გამოყოფილი თანხაა 845071.00 ლარი, ხოლო 2016 წლის გარდამავალი პროექტის ფარგლებში 680000.00 ლარის. პროექტირება განხორციელებულია.
6	სპორტული დარბაზის რეკონსტრუქცია	600 000,00	570 000,00	30 000,00	18 000,00	მარტი- ნოემბერი	ტრიბუნის რეკონსტრუქცია დარბაზის სრული რეაბილიტაცია შესაბამისი ინფრასტრუქტურით,სახურავის გამოცვლა და მიშენების ნაწილობრივ სარეკონსტრუქციო სამუშაოები. პროექტირება განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ 600.0 ათ ლარის ფარგლებში.

7	ცენტალური ქუჩების ტროტუარების კეთილმოწყობა (ფარნავაზ მეფის და კოსტავას ქუჩის ნაწილი)	2 493 910,00	570 000,00	30 000,00	18 000,00	მარტი-ნოემბერი	ტროტუარების რეაბილიტაცია ასევე გულისხმობს გაზონების მოწყობას, მწვანე ნარგავების ამოპირკვადამატების სამუშაოებს, საყვავილეების, ნაგვის ურნების და მოსასვენებელი სკამების მოწყობას. რუსთაველის რკალის ტროტუარის კეთილმოწყობისათვის რგფ-დან 2015 წელს გამოყოფილი თანხაა 900000.00 ლარი, ხოლო 2016 წლის გარდამავალი პროექტის ფარგლებში 606090.00 ლარი. პროექტირება განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ 600.0 ათ ლარის ფარგლებში.
8	მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია	„--“	190 000,00	150 000,00	40 000,00	მარტი-აგვისტო	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების კაპიტალური რემონტი არ ჩატარებულა მათი ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, რის გამოც გასულ 2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა 15 ლიფტის სრული რეაბილიტაცია. მიმდინარე წელს დაგეგმილია 22 ლიფტის რეაბილიტაცია, სულ ლიფტების საერთო ოდენობა შეადგენს 65 ერთეულს. ლიფტების რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს მოსახლეობის მომსახურების დონის ამაღლებას, ბენეფიციართა საერთო რაოდენობა შეადგენს 4700 მოქალაქეს.
		<b>22 538 072,65</b>	<b>7 347 830,72</b>	<b>526 727,93</b>	<b>91 415,89</b>		

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, თავმჯდომარის მოადგილე

ალექსანდრე თოფურია